განკარგულება:**g-27. 27240873**
თარიღი:**27/03/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 20

27 მარტი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 04 მარტს, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა N5/12154 წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა“ მიმდინარე წლის 27 თებერვლის N1000395 1 24 00229835 წერილით მიმართა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე 214 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 53.06.41.149) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N62 განკარგულებით, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შალაურში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 53.06.41.037) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ძველი ამბულატორია), რომლის ფართობი არ აღმოჩნდა საკმარისი თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ახალი სამედიცინო ამბულატორიის მოსაწყობად. სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი 53.06.41.149) მდებარეობს 53.06.41.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოფელ შალაურში მდებარე 214 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.06.41.149) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს უსასყიდლოდ, შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამედიცინო მომსახურების განვითარებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

<u>გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:</u>

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შალაურში მდებარე 214 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.06.41.149).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი